ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზურაბ ჩხოტუა

ევროკავშირის ჩართულობა შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებაში:

საქართველოს მაგალითი

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ვახტანგ მაისაია, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი

თბილისი, 2018

ანოტაცია

ევროკავშირის ჩართულობა შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებაში: საქართველოს მაგალითი.

კვლევა მოიცავს 1990-იანი წლებიდან დღემდე საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობის მიმოხილვას, აფასებს ევროკავშირის ჩართულობას საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში, მიმოიხილავს ექსპერტთა სხვადასხვა შეფასებას ევროკავშირისა და საქართველოს მიდგომებზე, თუ რა განხორციელდა კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის გრძელვადიანი მშენებლობის მიმართულებით და წარმოადგენს რეკომენდაციებს, თუ რა არის შესაძლებელი და აუცილებელი, რომ ეფექტიანი გახდეს საქართველოს ხელისუფლების საქმიანობა კონფლიქტების მართვისა და მათი მშვიდობიანი მოგვარების მიმართულებით, რათა ხელშესახები შედეგები მივიღოთ როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

კვლევაში გამოყენებულია საქართველოს ხელისუფლების, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და დამოუკიდებელი ექსპერტული ანალიზების ჩვენთვის ხელმისაწვდომი კვლევები. არსებული მასალა გაანალიზებული და შეჯამებულია, რომელზეც დაყრდნობით წარმოდგენილია საბოლოო რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლების, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და დონორთა საზოგადოებებისათვის.

Annotation

The EU's Involvement in Armed Conflict Resolution: The Case of Georgia.

The research represents the study review of partnership between Georgia and The European Union since 1990 up to today; evaluates the EU's involvement in the peaceful conflict resolution processes of Georgia, as a result of its armed conflicts; examines independent experts' evaluation on various approaches and implemented relevant programmes of Georgia and the EU for last decade towards conflict resolution and sustaining peace building; presents the final recommendations on what in particular is possible and/or necessary to enhance and make effective activities of the Government of Georgia for conflict management and peacebuilding to achieve more tangible results on local, national and international levels.

The major parts of the research are based on dozens of reports and papers available. In particular various open source materials of the Government of Georgia, the EU and national institutions' are reviewed and analyzed. Based on all information the final 3 major recommendations are generated for interested institutions and stakeholders on local and international levels.

ევროკავშირის ჩართულობა შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებაში, საქართველოს მაგალითი

Contents

ანოტაცია 2

Annotation 2

მადლობა 5

შესავალი 5

კვლევის ძირითადი ნაწილი 10

კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით ევროკავშირის პოლიტიკა 10

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში 19

მისიის პრიორიტეტები: 20

მისიის მანდატი 20

მისიის მოქმედების არეალი 21

მისიის შემადგენლობა 21

მისიის ფუნქციები 22

მისიის მოვალეობა 23

მისიის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შექმნა (IPRM) 24

შეფასებები მისიაზე 25

შეჯამება -ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში 27

ჟენევის მოლაპარაკებები 28

ინციდენტების პრევენციის და რეაგირების მექანიზმი: შეხვედრები ერგნეთში და გალში 32

ინციდენტების პრევენციის შეხვედრები (IPRM ერგნეთი) 33

ინციდენტების პრევენციის შეხვედრები (IPRM გალი) 35

დასკვნა 36

რეკომენდაციები 38

გამოყენებული ლიტერატურა 39

დანართები 42

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი ყველა ორგანიზაციასა და ადამიანს, ვინც დამეხმარა წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში. დიდი მადლობა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრს (ICCN), მის თანამშრომლებს, ბოლო 6 თვის მანძილზე გაწეული დახმარების, ცენტრის ბიბლიოთეკით სარგებლობისა და პროფესიული რჩევების მოწოდებისთვის; მადლობა ქ-ნ ნანა მაჭარაშვილს, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს, ბ-ნ ვახტანგ მაისაიას, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, გაწეული სამუშაოსა და ქმედითი რეკომენდაციებისთვის.

შესავალი

ევროპის კავშირისა და საქართველოს ურთიერთობა უკვე საკმაო დროს ითვლის. ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან ენერგეტიკული თანამშრომლობის ხელშესაწყობად საქართველო მიიწვიეს საერთაშორისო პროგრამაში „ინოგეიტი“ მონაწილეობისთვის (1994 წელი). ინოგეიტი-ს პროგრამაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ევროკავშირის (EU) წევრი ქვეყნები, თურქეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და რუსეთის ფედერაციისა[1].

საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოების, სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში მჭიდრო თანამშრომლობის ხელშესაწყობად, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები

[1] INOGATE & Georgia, In brief Energy cooperation, INOGATE secretariat http://www.inogate.org/ ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

ჰყავს[2]. საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორებს შორის ევროკავშირს მეორე ადგილი უჭირავს.



ცხრილი #1. წყარო: საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში[3]

საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობა პირობითად 3 ეტაპად შეიძლება დავყოთ. ეს ეტაპებია:

1) 1990 წლიდან - 2003 წლამდე;
2) 2004 წლდან - 2008 წლამდე;
3) 2009 წლიდან - დღემდე.

განვიხილოთ ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობა 1990-იანი წლების დასაწყისში. 1990-იან წლებში სამხრეთ კავკასია ნაკლებად საინტერესო რეგიონი იყო ევროგაერთიანებისათვის, ვინაიდან ეს რეგიონი გეოგრაფიულად მისგან შორს მდებარეობდა და ევროკავშირიც არ იყო გლობალური მოთამაშე. აქტიური და ნაყოფიერი ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის 1992 წელს დაიწყო. 1994 წლიდან საქართველომ დაიწყო ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA)“ მუშაობა[4]. შეთანხმებას ხელი ლუქსემბურგში მოეწერა 1996 წელს ხოლო ძალაში 1999 წელს შევიდა[5]. ხელშეკრულება გაფორმებული იყო 10 წლის ვადით, თუმცა გაგრძელებასაც ითვალისწინებდა. პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას სამი ძირითადი მიზანი გააჩნდა:

[2] საქართველოს სტრატეგიული ამოცანები და მიზნები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი. http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/%E1%98.aspx ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.
[3] http://infocenter.gov.ge/georgia-and-the-european-union/ ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.
[4] „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA)“ http://www.ei-lat.ge/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebis-qronologia/366-evrokavshiris-tsarmomadgenloba-saqarthveloshi-1995.html?lang=ka-GE ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.
[5] „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA)“ http://www.ei-lat.ge/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebis-qronologia/367--shethankhmeba-partniorobisa-da-thanamshromlobis-shesakheb-pca.html?lang=ka-GE ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

1) შესაბამისი გარემოს შექმნა მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისა და ურთიერთობის გაღრმავებისთვის;
2) საქართველოს მხარდაჭერა დემოკრატიის განმტკიცების, ეკონომიკური განვითარების და საბაზრო ეკონომიკის წინსვლის მიმართულებით;
3) ვაჭრობისა და ინვესტიციების მხარდაჭერა, შესაფერისი გარემოს შექმნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარებისთვის.

2003 წლის 7 ივლისს ევროკავშირმა თავისი სპეციალური წარმომადგენელი დანისნა სამხრეთ კავკასიის რეგიონში[6], რითაც მან დაადასტურა თავის ინტერესი ამ რეგიონისადმი.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის პირობითად „მეორე ფაზა" შეიძლება მივიჩნიოთ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდი. 2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით შესაძლებელი გახდა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში გაწევრიანება [7] . ამის შემდეგ საქართველოს ურთიერთობები ევროკავშირთან ახალ ეტაპზე გადავიდა და კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

2008 [8] წლის ომის შემდეგ ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები სწრაფი ტემპით გადავიდა ახალ, პირობითად, მესამე ეტაპზე, რომლის დროსაც ევროკავშირმა აქტიურად დაიწყო მუშაობა მშვიდობის დამყარებასა და მის შემდგომ განვითარებაზე. „გაწევრიანებამდე დახმარების ინსტრუმენტის" (IPA)[9], „ასოცირების შესახებ შეთანხმების", „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" (ENP)[10], „ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტისა" (ENI)[11] და „აღმოსავლეთ პარტნიორიბის (EAP)[12]ფარგლებში მმართველობის რეფორმების მნიშვნელოვან მხარდაჭერასთან ერთად, ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2008 წლის შემდგომ კონფლიქტის დარეგულირების, მართვისა და გადაწყვეტის მიმართულებით

[6] საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ

[7] საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[8] საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, http://smr.gov.ge/Uploads/66c4e7.pdf ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[9] Instrument for Pre-Accession Assistance (IPA), European Commission http://ec.europa.eu/regional_policy/en/funding/ipa/ ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[10] European Neighbourhood Policy (ENP), European Union, European External Action Service https://eeas.europa.eu/topics/european-neighbourhood-policy-enp_en ბოლოსნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[11] The European Neighbourhood Instrument (ENI), The EU Neighbours portal is part of the OPEN Neighbourhood Programme. https://www.euneighbours.eu/en/policy/european-neighbourhood-instrument-eni ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[12] Eastern Partnership, European Union, European External Action Service, https://eeas.europa.eu/topics/eastern-partnership_en ბოლოსნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

ხელშეწყობაში ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის განვითარების კუთხით.

2008 წელს, ევროკავშირის თავჯდომარე ქვეყანას, საფრანგეთს, და მის პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებასა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაში[13].

ევროკავშირის სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა, მას შემდეგ , რაც 2009 წელს გაერო-ს სადამკვირვებლო მისიისა (UNOMIG) [14] და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE)[15] წარმომადგენლობა დაიხურა საქართველოში.

6 პუნქტიანი სამშვიდობო ხელშეკრულება (სარკოზი-სააკაშვილი-მედვედევი)

2008 წელს, ევროკავშირმა (ამერიკელ პარტნიორებთან ერთად) დიდი წვლილი შეიტანა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით, ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე.წ. ექვსპუნქტიან შეთანხმებას. 2008 წლის 1 სექტემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის გადაწყვეტილებით გამართულ ევროკავშირის საგანგებო შეხვედრაზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა უარყოფითად შეაფასეს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავება. ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას[16].

2008 წლის ომისშემდგომ ევროკავშირმა შექმნა „ევროკავშირის მონიტორინგის მისია'' (EUMM)[17], რომელიც დღემდე ადევნებს თვალყურს კონფლიქტის ზონებში ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციას. ევროკავშირი, თავის მხრივ, დიდ ყურაღღებას აქცევს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების პროცესს, რომელიც „ჟენევის მოლაპარაკებების" (GID) სახელით არის ცნობილი[18].

---

[13] რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების დარღვევები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://mfa.gov.ge/News/%E1%83% %91.aspx ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[14] United Nations Observer Mission in Georgia, (UNOMIG) https://peacekeeping.un.org/mission/past/unomig/index.html ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[15] The OSCE stands for the Organization for Security and Co-operation in Europe. http://www.osce.org ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[16] საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში http://eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[17] European Union Monitoring Mission in Georgia, https://eumm.eu/ ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[18] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები
ჟენევის მოლაპარაკებები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://mfa.gov.ge/Occupied-Territories/Jeneva-Talks.aspx ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

2010 წლის 15 ივლისს მოლაპარაკებები დაიწყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე[19]. 2017 წლის 28 მარტს საქართველოს მოქალაქეებისთვის ძალაში შევიდა ვიზა-ლიბერალიზაცია[20]. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 2014 წლის მარტში ძალაში შევიდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს მონაწილეობას ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ოპერაციებში, სადაც საქართველომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რამდენიმე ოპერაციის ჩატარებაში. დღემდე საქართველოს მიერ ამ პროცესში შეტანილი წვლილია დაახლოებით 156 სამხედრო პირის მონაწილეობა ევროკავშირის ოპერაციაში EUFOR RCA ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ამჟამად საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის სამხედრო წვრთნების მისიაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში მალიში.

საქართველომ და ევროკავშირმა 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოაწერეს ასოცირების შეთანხმებას და ასევე ხელი მოაწერეს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (AA/DCFTA)[21].ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (AA/DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან სწორედ ის ახდენს ევროკავშირთან ეკონომიკური გაერთიანების პროცესს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ფაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით, (AA/DCFTA) გულისხმობს საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ (AA/DCFTA) მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების დიდ არჩევანს და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

საქართველოში DCFTA-ის ამოქმედებით, წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ DCFTA-ის მოლაპარაკებების პროცესში მიაღწია უნიკალურ და მომგებიან შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით, რომლის

[19] საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[20] გზამკვლევი ევროკავშირის/შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლისთვის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://www.mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

[21] თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.

მიხედვითაც ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე[22].

DCFTA[23] - ის მოლაპარაკებებისათვის მომზადების პროცესი 2009 წელს დაიწყო. 2008 წლის 13-14 ოქტომბერს თბილისში ევროკომისიის ფაქტების შემსწავლელი მისიის ვიზიტი გაიმართა, რამაც საფუძველი ჩაუყარა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების მომზადების პროცესს. აღნიშნული ვიზიტის შედეგად, 2009 წლის მარტში ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა გარკვეული მიზნები და რეკომენდაციები სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი რეფორმების შესახებ.

2011 წლის დეკემბერში ოფიციალურად გაიხსნა DCFTA-ზე მოლაპარაკებების პროცესი. აღნიშნული მოლაპარაკებების ფარგლებში გაიმართა 6 რაუნდი, აგრეთვე იმართებოდა ვიდეო-კონფერენციები. მოლაპარაკებების პროცესში ჩართული იყო საქართველოს ყველა შესაბამისი სამინისტრო და უწყება, ხელმძღვანელი პირებისა და ექსპერტების დონეზე. მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში.

კვლევის ძირითადი ნაწილი

კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით ევროკავშირის პოლიტიკა

1990 წლიდან მოყოლებული ევროკავშირი და საქართველოს ხელისუფლება ერთობლივად არიან ჩართულები იმ საკითხებში, რომლებიც ქვეყნის ორ სეპარატისტულ კონფლიქტს ეხება[24]. თავდაპირველად ევროკავშირი ძირითადად ჰუმანიტარულ დახმარებაზე აკეთებდა აქცენტს, მაგალითად ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების და სამოქალაქო დაცვის (ECHO) პროგრამის დაფინანსების დიდი ნაწილი საქართველოსთვის გამოიყო [25] . ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სურსათით დახმარების დიდი ნაწილი და ყველა

[22] Ibid. http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement ბოლოს ნანახია 16 თებერვალი, 2018 წ.
[23] Ibid. http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement ბოლო სნანახია 16 თებერვალი, 2018 წ
[24] Whitman, R. & Wolff, S. 2010. The EU as a Conflict Manager? The Case of Georgia and Its Implications. International Affairs, 86(1), 87-107. ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.
[25] In 1994, ECHO gave humanitarian aid worth a total of 17.306 million Ecufor Georgia, including nine million Ecu in food aid. ECHO is the biggest donor of humanitarian aid in Georgia.
http://europa.eu/rapid/press-release_IP-95-136_en.htmბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

განსაკუთრებული ჰუმანიტარული დახმარება 1992-1995 წლებში საქართველოსთვის გამოიყო. 1997 წლიდან მოყოლებული ევროკავშირმა კონფლიქტურ ზონებში სარეაბილიტაციო პროგრამების დაფინანსება დაიწყო. 1999 წელს ძალაში შევიდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის[26]. 2003 წელს საქართველო ჩაერთო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში (ENP), ეს იყო კიდევ ერთი მიზეზი იმისა რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მყარი გამხდარიყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მიზანია წვლილი შეიტანოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაში[27].

ევროკავშირის განხორციელებული პოლიტიკა და საქმიანობა საქართველოში კონფლიქტების მოგვარებას უკავშირდება და განისაზღვრება საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CFSP) და ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) ჩარჩოთი[28]. არსებული გეგმები მოიცავდა კანონის უზენაესობის მისიას (EUJUST Themis) საქართველოში[29] და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის (EUSR) საზღვრის მხარდამჭერ ჯგუფს თბილისში. ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიამ საქმიანობა 2004 წლის 16 ივლისს დაიწყო[30]. აღნიშნული მისიის მოქმედებით ევროკავშირის მიზანი იყო საქართველოში ახალი ხელისუფლების დახმარება, ასევე სტაბილურობის დამყარება იმ რეგიონში, სადაც არასტაბილურობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა როგორც რეგიონული, ასევე ევროპული უსაფრთხოებისთვის. ტექნიკურ დონეზე კი აღნიშნული მისიის მიზანი იყო საქართველოს დახმარებოდა სისხლის სამართლის სექტორში არსებული პრობლემების მოგავრებაში და რეკომენდაციები გაეზიარებინა სისხლის სამართლის სამომავლო რეფორმების განხორციელებაში.

ევროკავშირის მიერ პირველი მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯი საქართველოში კონფლიქტების მოგვარების კუთხით, კონფლიქტურ ზონებში

---

[26] პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება
http://eu-nato.gov.ge/ge/eu/agreement ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[27] ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP)
http://eu-nato.gov.ge/ge/eu/neighborhood-policy
ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[28] ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა
https://eumm.eu/ge/eu_in_georgia/what_is_eu_foreign_policy
ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[29] ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია (EUJUST THEMIS) საქართველოში 12 თვე გაგრძელდა. ეს ევროკავშირის მიერ ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) კონტექსტში განხორციელებული პირველი მისია იყო, რომლის მიზანს წარმოდგენდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის შექმნა, რომელიც წარმატებით განხორციელდა.

[30] Chronology of major events of EU-Georgia cooperationhttp://www.mfa.gov.ge/ =en-USბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

სარეაბილიტაციაო დახმარებას უკავშირდებოდა. მსგავსი ღონისძიებების დაფინანსება ევროპის კომისიამ 1997 წელს დაიწყო[31]. ევროკავშირმა 1997-2006 წლებში დაახლოებით 25 მილიონი ევრო გამოყო აფხაზეთში პროექტების განსახორციელებლად. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები იყო იმდენად დეპოლიტიზირებული, რამდენადაც ეს იყო შესაძლებელი, და არ იყო დამოკიდებული კონფლიქტის მოგვარების პროცესის კუთხით არსებულ პროგრესზე. 1997-2006 წლებში ევროკავშირმა 8 მილიონი ევრო გამოყო სამხრეთ ოსეთში განსახორციელებელი პროექტებისთვის. აღნიშნული პროექტები სასმელი წყლის მარაგის ქსელის რეაბილიტაციას, სკოლების ელექტროენერგიითა და გაზით მომარაგებას, რკინიგზის რეაბილიტაციას, კონფლიქტის რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერას ითვალისწინებდა. ევროკავშირი ასევე ხელს უწყობდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონსტრუქციული დიალოგის წარმართვას[32].

პირველ ეტაპზე ევროკავშირი საქართველოში კონფლიქტით დაზარალებულ პირთა ჰუმანიტარულ დახმარებას ახორციელებდა, რაც გულისხმობდა სწრაფ რეაგირებას იმ გადაუდებელ საჭიროებებზე, რაც კონფლიქტის დროს წარმოიქმნებოდა ხოლმე სურსათის და თავშესაფრის თვალსაზრისით. ბოლო წლებში ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული მოკლევადიანი ჰუმანიტარული დახმარება შეიცვალა საშუალოვადიანი ჰუმანიტარული დახმარებით, ხოლო გადაუდებელი თავშესაფრით უზრუნველყოფა შეიცვალა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით და სათემო/საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის შექმნით. ასევე სურსათით პირდაპირი დახმარების ნაცვლად განხორციელდა დევნილთა გრძელვადიანი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამები. უფრო მეტიც, დევნილთა დახმარება და მათი უზრუნველყოფა საარსებო წყაროებით გადამწყვეტ ასპექტად იქცა ევროკავშირის ახალ ინიციატივებში.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო მონაწილეების მიერ კონფლიქტით დაზარალებულ პირთა მიმართ განხორციელებული ახალი ტიპის დახმარება მეტად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი აღმოჩნდა.

---

[31] საქართველოში კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობისმშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილეობის ანალიზი/შეფასება, ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, 2017, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

[32] ანგარიში ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4------0-1l--10-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.3&d=HASH01df166fe420fa888067b2b6.3 ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

2008 წლის აგვისტოს ომამდეც ევროკავშირის დახმარება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტით დაზარალებულ პირების მიმართ საკმაოდ სერიოზული იყო. დახმარება ვრცელდებოდა როგორც რეგიონში დაბრუნებულ, ასევე ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებზე. 2008 წლის ომმა და აგვისტოს მოვლენებმა ამ რეგიონებიდან დევნილთა ახალი ტალღა წარმოქმნა, რამაც რასაკვირველია კიდევ უფრო გაზარდა ევროკავშირის შემდგომი ჩართულობა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა დახმარების კუთხით. 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში გაიმართა დონორების კონფერენცია, რომელიც საქართველოს ეხებოდა, აღნიშნულ კონფერენციაზე ევროკავშირი მოითხოვდა 500 მილიონ ევროს სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბინავების, ეკონომიკური რეაბილიტაციის, აღდგენითი პროექტების, მაკროფინანსური სტაბილიზაციის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით.

საქართველოში ევროკავშირის მიერ კონფლიქტით დაზარალებულ პირთა დახმარება ძირითადად საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდებოდა. ამჟამად, აფხაზეთის რეგიონში ევროკავშირი კვლავ ერთ-ერთი უმსხვილესი დონორია. პროექტები ძირითადად განათლებაზე, ნდობის აღდგენაზე, ჯანდაცვასა და საარსებო წყაროების მოპოვებაზეა გათვლილი. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ სამხრეთ ოსეთში მსგავსი პროექტები აღარ ხორციელდება, იმ პოლიტიკური წინაპირობების გამო , რომლებიც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ წამოაყენა.

2008 წლის ომისშემდგომ ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული დახმარება გაუწია იძულებით გადაადგილებულ პირებს, რაც მათ ზამთრის გადატანაში საგრძნობლად დაეხმარა. (ECHO) - მ (ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარება და სამოქალაქო დაცვა) 12 მილიონი ევრო გამოყო, აღნიშნული თანხა მიზნად ისახავდა ახალი დევნილების დახმარებას გადაუდებელი საჭიროებებით-სურსათით, საცხოვრებელი ფართით და ფსიქოლოგიური მხარდაჭერით უზრუნველყოფას. გარდა ამისა ევროკავშირმა 29 მილიონი ევრო გამოყო მცირე ეკონომიკური აქტივობების მხარდასაჭერად და დასაფინანსებლად, როგორიცაა მაგალითად პროფესიული ტრენინგები და მიკროკრედიტები ფერმერებისთვის, რაც დევნილებს საშუალებას მისცემდა ჰქონოდათ სტაბილური შემოსავალი. ასევე ევროკავშირმა 105 მილიონი ევროთი დააფინანსა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართები, რაც მიზნად ისახავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას.

საქართველოს მთავრობისთვის გაწეული დახმარებით (საერთო ჯამში 105 მილიონი ევრო; აღნიშნული თანხიდან დღემდე დახარჯულია 90 მილიონი) საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გაცემული მრავალი გრანტით, ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა 1990-იანი წლების კონფლიქტებისა და 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული და გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის კუთხით. გარდა ამისა არაერთი პროექტი განხორციელდა სკოლების, სასმელი წყლის, სარწყავი სიტემების, გზების რეაბილიტაციის კუთხით. ასევე, საგულისხმოა ის ფაქტი რომ ევროკავშირის დახმარების პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა დევნილთა უზრუნველყოფა საარსებო წყაროთი (19 მილიონი ევრო 2012-2015 წლებში). აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს დევნილთა ხელშეწყობას სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, ასევე პროგრამა ითვალისწინებს დევნილთათვის ისეთი შესაძლებლობების შექმნას როგორიცაა: პროფესიული ტრენინგები, მცირე გრანტები, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარება და ა.შ. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ადგილობრივი და საერთაშორისო წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამგვარი ღონისძიებები საშუალებას აძლევს დევნილებს ჩაერთონ ადგილობრივი განვითარების პროცესებში, ხოლო დევნილი ფერმერების შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევა მნიშვნელოვანია რათა მიუახლოვდნენ საშუალო ქართველი ფერმერის დონეს.

გარდა ამისა, ევროკავშირი დადებითად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საქართველო ცდილობს დაპირისპირებული მხარეების შერიგებას და მათი დიალოგის მშვიდობიან რეჟიმში გადაყვანას[33].

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის წარმომადგენელი დევნილთათვის გაწეული დახმარების შეფასებისას აღნიშნავს,რომ: საქართველოს მთავრობამ დონორებთან ერთად დევნილებს სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია საცხოვრებელი ფართის დაკმაყოფილების კუთხით. 2016 წლის ჩათვლით ევროკავშირმა 34000 დევნილი ოჯახი უზრუნველყო საცხოვრებელი ფართით.

საერთო ჯამში, უნდა აღინიშნოს რომ ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები 1990-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო და ვარდების რევოლუციის შემდეგ უფრო ინტენსიური გახდა. 2008 წლის შემდეგ საქართველოს და ევროკავშირს შორის ურთიერთობები გარკვეულწილად შეიცვალა. ერთი მხრივ, ევროკაშირი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა დახმარებაში, განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ და,

[33] საქართველოში კონფლიქტის ადრეულ იგამოვლენისა და მშვიდობისმშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილეობის ანალიზი/შეფასება, ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, 2017, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2017 წ. თბილისი.

მეორე მხრივ, ევროკავშირმა განავითარა ინსტიტუციური მხარდამჭერის ისეთი სიტემები, როგორიცაა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია EUMM, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები GID, ნდობის აღდგენის ადრეული რეაგირების მექანიზმი (COBERM). გარდა ამისა, ევროკავშირი მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას ახორციელებს განვითარებაზე ორიენტირებული სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. ეროკავშირის დახმარება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მმართველობის რეფორმების მიმართულებით, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობა, ასოცირების შესახებ შეთანხმება, სავიზო რეგულაციების გაუქმება თუ სამომავლო პირდაპირი ინვესტირების პერსპექტივის საკითხები.

ინსტრუმენტი გაწევრიანებამდე დახმარებისთვის (IPA), ასოციაციის შესახებ შეთანხმება, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტი და აღმოსავლეთ პარტნიორობა ზემოაღნიშნული ჩამონათვალის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. ყველა ამ ინსტრუმენტს კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიად იყენებენ.

საერთო ჯამში ევროკავშირის სტრატეგია - თვითგამოცხადებულ რეგიონებში „ჩართულობა აღიარების გარეშე“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეებისთვის სავსებით მისაღებია და დადებითად აფასებენ. მაგალითისთვის 2010 წელს აფხაზეთის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა სერგეი შამბამ ევროკავშირის ეს სტრატეგია მოიწონა კიდევაც [34] . მიუხედავად ამისა, ორივე მხარის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირს პრო-ქართული პოზიცია უკავია. სერგეი შამბამ მკაფიოდ აღნიშნა, რომ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტის გაუქმების შემთხვევაში აფხაზეთი უარს განაცხადებს საქართველოში მყოფ ევროკავშირის წარმომადგენლებთად მოლაპარაკებების გაგრძელებაზე.

ევროკავშირი ყველაზე წარმატებულ შემთხვევებში მედიაციისა და დიალოგის გზით მშვიდობის მშენებლობის თვალსაზრისით მრავალდონიან და საკმაოდ წარმატებულ მიდგომას იყენებდა. ევროკავშირი ასეთ შემთხვევებში მარტო არასდროს მოქმედებს. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ 2008 წლის ომამდე საქართველოს ტერიტორიულ კონფლიქტებში მესამე მხარის ჩართულობა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო და ამ კუთხით საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა გართიანებული ერებისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). 2008 წლამდე საქართველოში ევროკავშირის როლი არ იყო ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტების

[34] სერგეი შამბა: მივესალმები ევროპულ სივრცეში " ჩართულობას აღიარების გარეშე" ციტატა, - ხუთშაბათი 19:55 04.19.2018 http://ghn.ge/print.php?print=17684 ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

მოგვარებასა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით საგრძნობლად გაიზარდა ახალი ათასწლეულის პირველ ნახევარში.

1990-იანი წლების კონფლიქტების შემდეგ აფხაზეთში მოქმედებდა მხოლოდ ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია - გაერთიანებული ერების სახით[35], ხოლო ეუთოს მოქმედება ვრცელდებოდა მხოლოდ სამხრეთ ოსეთზე[36]. ასეთი გადანაწილება კონფლიქტების წარმოშობას და განვითარებას უსვავდა ხაზს. რუსეთის ფედერაციამ მას შემდეგ რაც ოსეთის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტას მიაღწია დაარსა ერთობლივი კონტროლის კომისია, რომელშიც შედიოდნენ რუსეთი, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი და საქართველო. კომისიის მიზანი იყო კონფლიქტის საბოლოო მოგვარება. ეუთო თავიდან დამკვირვებლის სტატუსით მიიწვიეს აღნიშნულ კომისიაში. ხოლო აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში მედიაციის კუთხით მოქმედებდნენ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მდივნის მეგობრები (რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია)[37]; გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს რომ გაერო-ს მისიის დაარსების მიზანი იყო მოლაპარაკებების პროცესების დაჩქარება.

გაერო-ს სადამკვირვებლო მისია (UNOMIG)[38] 1993 წელს დაარსდა. გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მიზანს საქართველოში წარმოადგენდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების[39] შესრულების ბოლომდე მიყვანა საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთის ხელისუფლებას შორის. 1994 წელს მხარეების მიერ ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის უფლებები გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ გაერო-სა და ეუთოს მისიები განსხვავებული უფლებებით მოქმედებდნენ, თანამშრომლობა, რაც ამ მისიებს შორის ჩამოყალიბდა სასარგებლო აღმოჩნდა კონფლიქტის მოგვარების მიმართ სხვადასხვა მიდგომების გამოვლენის და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.

---

[35] UNITED NATIONS, ოფიციალური ვებგვერდი http://www.un.org/Depts/DPKO/Missions/unomig/unomigB.htm ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[36] OSCE Mission to Georgia (closed) https://www.osce.org/georgia-closed ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[37] **GROUP OF FRIENDS OF SECRETARY-GENERAL REVIEW GEORGIA-ABKHAZ PEACE PROCESS, United Nations, New York, NY 10017** http://www.un.org/press/en/2004/sgsm9646.doc.htm ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[38] United Nations Observer Mission in Georgia, Maintained by the Peace and Security Section of the Department of Public Information in cooperation with the Department of Peacekeeping Operations, United Nations, 2009. https://peacekeeping.un.org/mission/past/unomig/index.html ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[39] გაეროს დამკვირვებელთა მისიის მანდატი, მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს 937-ე რეზოლუციით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, (გაზეთი 'საქართველოს რესპუბლიკა, # 131, 1994 წლის 26 ივლისი) http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2015/09/1994-%98.-11.pdf ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

1994 წელს გაერო-მ საფუძველი ჩაუყარა ე.წ „ჟენევის პროცესს“[40]. 1997 წელს 3 წლიანი პასიურობის შემდეგ არსებული პროცესი კვლავ განახლდა, რის შედეგადაც არსებული მოლაპარაკებების ყველა პროცესი გაერო-ს კონტროლის ქვეშ მოექცა. შუამავლის როლი ამ პროცესში რუსეთს მიენიჭა, ხოლო დამკვირვებლის სტატუსი ეუთოს და „გაერო-ს უშიშროების საბჭოს მდივნის მეგობრებს“. ჟენევის პროცესი ითვალისწინებდა უსაფრთხოების, ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნების, ეკონომიკური და სოციალური საკითხების გარშემო სამი სამუშაო ჯგუფის შექმნას. გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) - ის მთავარი სამხედრო დამკვირვებელი უსაფრთხოების საკითხებზე ერთ-ერთ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა, ხოლო დანარჩენ ორ სამუშაო ჯგუფს კი გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR)[41] წარმომადგენელი და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) [42] რეზიდენტ კოორდინატორი ხელმძღვანელობდნენ.

გაერო-ს დანარჩენი სააგენტოები, რომლებიც ასევე იყვნენ ჩართულნი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებში არიან გაერო-ს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ორგანიზაცია UNOCHA [43], რომელიც თვალყურს ადევნებდა განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების და დევნილთა ინტეგრაციის პროექტების განხორციელებას რეგიონში, ასევე გაერო-ს მოხალისეები (UNV) [44], რომლებიც ჩართულები იყვნენ რამდენიმე მცირე განვითარების პროექტში აფხაზეთის ტერიტორიაზე. რაც შეეხება გარე თანამშრომლობას, გაერო აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციას ეუთოს უზიარებდა, რომელიც თავის მხრივ ნაკლებად იყო ჩართული კონფლიქტის მოგვარების ღონისძიებებში. გარდა ამისა გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის - დამკვირვებლები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ დსთ-ს მშვიდობისმყოფელებთან (CISPKF) აფხაზეთში[45], ისინი მონიტორინგს უწევდნენ მათ მოქმედებებს, თუმცა, ამავდორულად, მათზე დამოკიდებულნიც იყვნენ იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნულ ძალებს გაერო-ს ოპერაციებისთვის გარკვეულ უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნათ.

---

[40] ლექსიკონები, სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7510 ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[41] The UNHCR Representatation in Georgia, UNHCR 2001-2018 http://www.unhcr.org/georgia.html ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[42] United Nations Development Programme, საქართველო, 2018 http://www.ge.undp.org/ ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[43] United Nations Office for the Coordination of Humanitarian Affairs, https://www.unocha.org/ ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[44] UNV is administered by the United Nations Development Programme (UNDP), https://www.unv.org/ ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

[45] Abkhazia-Georgia, MISSION NOTES, The year 2007, United Nations, http://peaceoperationsreview.org/wp-content/uploads/2014/10/2008_abk_georgia_mission_notes.pdf ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

1992 წლის დეკემბრიდან საქართველოში მოქმედება დაიწყო ეუთოს მისიამ. აღნიშნული მისია საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტის მოგვარების, დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის საკითხებში უჭერდა მხარს. ეუთოს ჩართულობა საქართველოში თანდათან გაიზარდა და მოიცავდა კონფლიქტის მოგვარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ასევე მისია ხელს უწყობდა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს შორის დაპირისპირებულ მხარეთა მოლაპარაკებების წარმართვას. ეუთოს ინიციატივით და საერთაშორისო დონორების დაფინანსებით კონფლიქტურ ზონებში ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროექტები განხორციელდა, ეუთო ასევე ჩართული იყო ხალხის დაახლოებასა და არასამთავრობო სექტორისთვის შესაძლებლობების ზრდაზე კონცენტრირებულ პროექტებში.

2008 წლის აგვისტოში, სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დაწყების შემდეგ ეუთომ შეიცვალა მიმართულება და ამჯერად მისი საქმიანობა გადაუდებელ სტაბილიზაციასა და ჰუმანიტარულ კრიზისს ემსახურებოდა, აღნიშნული მიმართულებით ეუთომ ოპერატიულად ჩართო 20 ახალი დამკვირვებელი ოფიცერი. ეუთო ასევე მხარს უჭერდა ჟენევის მოლაპარაკებებს, რომელსაც ევროკავშირი, გაერო და თავად ეუთო ხელმძღვანელობდნენ რეგიონში სტაბილურობის დასამყარებლად. საერთო ინციდენტის პრევენციის მექანიზმები შემუშავდა აღნიშნული განხილვების შედეგად. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებით, მისიას გაერო-ს მიერ მართული ღონისძიებებისმხარდაჭერა ევალებოდა, შესაბამისად ეუთომ ადამიანის უფლებების ოფიცერი დანიშნა და გაგზავნა ადამიანის უფლებების ოფისში აფხაზეთში, საქართველო.

2008 წელს, ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლიშეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით, ხელიმოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე.წ. ექვსპუნქტიან შეთანხმებას. 2008 წლის 1 სექტემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის ინიაციატივით მოწვეულ ევროკავშირის საგანგებო სამიტზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავების შესახებ. ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას[46].

2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნის თაობაზე, რომლის ძირითად ამოცანას ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესზე დაკვირვება წარმოადგენს. მისიამ საკუთარი მანდატის განხორციელება 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო.

[46] საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა http://eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation ბოლოს ნანახია 5 მარტი, 2018 წ.

2008 წლის 25 სექტემბერს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა[47].

2008 წლის 15 ოქტომბერს, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში, მოლაპარაკების პირველი რაუნდი (ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები არის ნეიტრალური სტატუსის მქონე ფორმატი, სადაც მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით არიან წარმოდგენილნი) გაიმართა. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და ჟენევის მოლაპარაკებების სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორი პარალელური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. პირველი სამუშაო ჯგუფი უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს, ხოლო მეორე სამუშაო ჯგუფის ძირითად განსახილველ თემას დევნილებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს. მოლაპარაკებებს თანა-თავმჯდომარეობენ ევროკავშირის, გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლები და ესწრებიან მონაწილეები საქართველოდან, რუსეთის ფედერაციიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მოლაპარაკებებში, ასევე, მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ისევე, როგორც სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები)[48].

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მოქმედება დამოკიდებულია სტაბილურობაზე, ნორმალიზაციაზე და ნდობის აღდგენაზე, ასევე ევროკავშირის ვალდებულებაა ანგარიშების მომზადება და ინფორმირება და ამ გზით რეგიონში ევროკავშირის ჩართულობის გაზრდა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია თავდაპირველად 12 თვის ვადით შეიქმნა, თუმცა მისია მას შემდეგ 5-ჯერ გადავადდა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეიძლება დავახასიათოთ რამოდენიმე მიმართულებით: მისიის პრიორიტეტები, მანდატი, მოქმედების არეალი, შემადგენლობა, ფუნქციები, მოვალეობა, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შექმნა (IPRM).

განვიხილოთ აღნიშნული ჩამონათვალი ცალ-ცალკე.

[47]Ibid.
[48]Ibid.

მისიის პრიორიტეტები:

1) კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება;

2) აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხო და ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა;

3)დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენა;

4)ევროკავშირის პოლიტიკის გავრცელება საქართველოში და მთლიან რეგიონში.[49]

2009 წლის იანვარში ევროკავშირსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, ხოლო აღნიშნულ მემორანდუმში ცვლილებები 2010 წლის ივლისში შევიდა [50] . მემორანდუმი ითვალისწინებდა, იმას რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს უფლება არ აქვთ განათავსონ საჯარისო დანაყოფები იმ ტერიტორიაზე, რაც ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლს ესაზღვრება. აღნიშნული შეთანხმება ემსახურება საქართველოს მთავრობის ხელშეწყობას ძალის გამოუყენებლობის პრინციპის დაცვაში, როგორც ეს 6-პუნქტიან შეთანხმებაში იყო აღნიშნული. უსაფრთხოების მხრივ ვითარება მკვეთრად გაუმჯობესდებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ფედერაციაც მიიღებდა შესაბამის ზომებს.

მისიის მანდატი

აღსანიშნია ისიც, რომ ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია არ ფუნქციონირებს გრძელვადიანი მანდატით , ამიტომ პერიოდულად წინ წამოიწევა ხოლმე მისიის შესაძლო შეწყვეტის საკითხი. ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია ორი მიზეზის გამო შეიძლება შეწყდეს - პირველ მიზეზი არის ის, რომ მისიის ფუნქციონირება დიდ ფინანსებს უკავშირდება, ხოლო მეორე მიზეზია - პოლიტიკური მიზანშეწონილობა. აღნიშნული საკითხები ყოველთვის თავს იჩენს, როდესაც საუბარია მისიის მანდატის გაგრძელების თაობაზე.

2008 წელს ხელი მოეწერა 6-პუნქტიან შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმების მეხუთე პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით, საერთაშორისო და ადგილობრივი აქტორები ერთსა და იმავე აზრს ითვალისწინებენ, რომლის

[49] European Union Monitoring Mission in Georgia, ევროკავშირის შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია https://eumm.eu/ge/ ბოლოს ნანახია 8მარტი, 2018 წ.
[50] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო https://mod.gov.ge/; ურთიერთგაგების მემორანდუმი, https://mod.gov.ge/ge/news/read/621/memorandum-of-understanding ბოლოს ნანახია 8 მარტი, 2018 წ.

შინაარსიც ამავე დოკუმენტში ზემოთ არის მოყვანილი. 2008 წლის 6-პუნქტიანი შეთანხმების თანახმად ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიამ უნდა, განაგრძოს მოქმედება ვითარების დასარეგულირებლად. 6-პუნქტიანი შეთანხმების მეხუთე პუნქტის შესრულებას რუსეთის ფედერაცია უშლის ხელს, ვინაიდან მათი სამხედრო პერსონალი და აღჭურვილობა ჯერ კიდევ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთშია.

მისიის მოქმედების არეალი

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მოქმედებს აფხაზეთისა და ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე[51]. აღნიშნულ მისიასი მისიაში ჩართულია 200-მდე წარმომადგენელი ევროკავშირის წევრი სხვადასხვა ქვეყნებიდან. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მთავარი შტაბბინა მდებარეობს თბილისში, ხოლო გორში, მცხეთაში და ზუგდიდში მდებარეობს ოფისები, რომლებიც გამოყენებულია როგორც ბაზები, საიდანაც მისია თანამშრომლობს პარტნიორებთან და ახორციელებს ოპერაციებს. აღმოსავლეთ საქართველოს და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრე ზოლის მიმდებარე ტეროტორიაზე სახმელეთო მოქმედებებს ახორციელებენ გორისა და მცხეთის საველე ოფისებიდან. ქვეყნის დასავლეთ ნაწილს კი ზუგდიდის ოფისი მეთვალყურეობს.

ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის მოქმედების არეალი საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს, თუმცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები არ აძლევენ აღნიშნულ მისიას იმ ტერიტორიაზე შესვლის უფლებას, რომელსაც თვითონ აკონტროლებენ. მიუხედავად ამისა, იყო რამოდენიმე ერთობლივი ვიზიტი აღნიშნულ ტერიტორიებზე შესვლის. ევროკავშირის ერთ-ერთი წარმომადგენლის აზრით, აღნიშნული მისია ვერ შეძლებს თვითგამოცხადებულ რეგიონებში შესვლას, ვინაიდან დაპირისპირებულ მხარეებს სორის ხელი უნდა მოეწეროს შეთანხმებას, იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რას მოიცავს საქართველოს ტერიტორია.

მისიის შემადგენლობა

საქართველოში წარმოდგენილი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, საერთო ჯამში, 300-მდე თანამშრომლისგან შედგება, რომელთაგანაც უმეტესობა ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან არიან წარმოდგენილნი, ხოლო დანარჩენ ნაწილს საქართველოს მოქალაქეები შეადგენენ. ამის გათვალისწინებით შეიძლება

[51] ევროკავშირის შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია https://eumm.eu/ge/ ბოლოს ნანახია 8მარტი, 2018 წ.

იმის თქმა, რომ საქართველოში მყოფი ევროკაშირის სადამკვირვებლო მისია დაკომპლექტებულია გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებით.

2008 წლიდან მოყოლებული აღნიშნულ მისიასი ევროკავშირის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი იყო გაწევრიანებული[52]. მისიაში მონაწილე თანამშრომლების ასაკიც მრავალფეროვანია. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში ჩართული თანამშრომლების ასაკი 39 წელს შეადგენს. 4 მომსახურე პერსონალიდან ერთი მონიტორი ქალია. ასეთი ტიპის გადანაწილება სათავეს იღებს 2011 წლიდან, თუმცა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ყველანაირად ცდილობს მისიაში ჩართოს, უფრო მეტი ქალი მონიტორი. მისიის თანამშრომელთა უმრავლესობა სრულ განაკვეთზე მუშაობს, ხოლო დანარჩენი მომსახურე პერსონალი ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ, რაც ასევე ითვალისწინებსადმინისტრაციულ და ლოგისტიკურ საქმესაც. 2015 წლის 10 ივლისის მონაცემებით მონიტორ თანამშრომელთა რაოდენობა 205-ს შეადგენდა.

უკრაინაში სანამ კრიზისი დაიწყებოდა, ევროკავშირის წევრმა რამოდენიმე ქვეყანამ წამოაყენა საკითხი მისიის ქვეყნიდან გასვლის შესახებ, ვინაიდან ევროკავშირში არსებობდა ეკონომიკური კრიზისი. ასევე უნდა ითქვას, რომ რამოდენიმე სახელმწიფო მიიჩნევდა რომ, საქართველოში მისიის დაფინანსება არ იყო საჭირო. უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა საგრძნობლად იმოქმედა ევროკაშირის ქვეყნების ამჟამინდელ დამოკიდებულებაზე რუსეთის მიმართ, განაცხადა საქართველოს მთავრობის ყოფილმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა. თუმცა, ეროკავშირის ერთ-ერთი წარმომადგენლი მიიჩნევს რომ, ევროკავშირის მონიტორთა შემცირება საქართველოში, მცდარი გზავნილი იქნებოდა როგორც საქართველოსთვის, ასევე რუსეთისთვის.

მისიის ფუნქციები

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია გამოირჩევა დაკვირვების და მონიტორინგის ფუნქციების სიხშირით და სამი სხვადასხვა სახის პატრულირებას აწარმოებს ყველა საველე ოფისიდან[53].

1) **პატრულირება ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე** - ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლების და მიმდებარე ტერიტორიების კონტროლი, ასევე თანამშრომლობა უსაფრთხოების მსურველებთან.
2) **პატრულირება ადამიანის უსაფრთხოების დაცვის მიზნით** - არასამთავრობო ორგანიზაციებთან, და ხელისუფლებასთან

[52] ევროკავშირის შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია https://eumm.eu/ ბოლოს ნანახია 8 მარტი, 2018 წ.
[53] Ibid. https://eumm.eu/ge/ ბოლოს ნანახია 8 მარტი, 2018 წ.

თანამშრომლობა. შეხვედრების დაგეგმვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით. ასევე დევნილებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა.

3) **შესაბამისობის პატრულირება** - შსს-სა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შორის შეთანხმებული მემორანდუმის შესრულების მონიტორინგი; ასევე საქართველოს უსაფრთხოების აქტორების (პოლიციისა და ჯარის) ბაზებისა და აღჭყურვილობის დათვალიერება; მნიშვნელოვანი სამხედრო წვრთნებისა და აქტივობების ზედამხედველობა.

მისიის მოვალეობა

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მოქმედებს იარაღის გარეშე[54], თუმცა მონიტორინგის პერსონალს ჯავშანი და ჩაფხუტი იცავთ (დამცავი ტანსაცმელი). მონიტორებს აქვთ მობილური ტელეფონები და პორტატული რადიო, რაც მათ ველზე კომუნიკაციის საშუალებას აძლევთ. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია იყენებს უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა სახის ბინოკლს, რომელიც ყველაზე საჭირო და ხშირად გამოსაყენებელი ინსტრუმენტია, ზოგ მათგანს ლაზერული მანძილის საზომიც მოყვება, რომელიც გამოიყენება საჭირო ობიექტამდე ზუსტი დისტანციის გასაზომად.

მისიის მონიტორების ძირითადი მოვალეობაა ადამიანის უსაფრთხოება, ისინი ძირითადად თვალყურს ადევნებენ - გადაადგილების თავისუფლებას, სკოლის მოსწავლეების განათლებას, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს და კიდევ ბევრ სხვა საკითხებს ადამიანის უფლებათა სფეროში. ადამიანის უსაფრთხოების პატრულებს აქვთ სხვადასხვა ვალდებულებები, ისინი ორგანიზებას უწევენ შეხვედრებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შორის, ასევე ვალდებულებას იღებენ ინფორმაციის გაცვლის კუთხით სასაზღვრო ზოლთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თემების გარშემო.

პირველი ორგანიზებული შეხვედრა ინფორმაციის გაცვლის მიზნით ჩატარდა 2009 წელს ზუგდიდში[55]. აღნიშნული შეხვედრების მიზანია მისიაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და ინფორმაციის გაცვლა. შეხვედრები ტარდება 6-7 კვირაში ერთხელ.

ევროკავშირის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო მისიის როლი მონაცემების შეგროვების კუთხით, რაც ევროკავშირს ხელს უწყობს განსაზღვროს სტრატეგიული მიდგომები. ევროკავშირის წარმომადგენელთა

[54] Ibid. https://eumm.eu/ ბოლოს ნანახია 8 მარტი, 2018 წ.
[55] http://www.eu-nato.gov.ge/ ბოლოს ნანახია 8 მარტი, 2018 წ.

ინფორმაციით, აღნიშნული მისია ფაქტობრივ ინფორმაციებს და შეფასებებს ყოველთვიურ შეხვედრებზე ან ელჩებთან გამართულ ბრიფინგებზე წარმოადგენს, რასაც თან სდევს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების შეფასებები.

მოცემული ანგარიშები ხელმისაწვდომია, მხოლოდ ევროკავშირის შიდა მოხმარებისთვის, ვინაიდან აღნიშნულ შეფასებებში დაფიქსირებული ინფორმაცია შესაძლოა რისკის მომტანი აღმოჩნდეს კონფლიქტში მონაწილე მხარეთათვის. სადამკვირვებლო მისია ვალდებულია კრიზისის შექმნის შემთხვევაში გამოავლინოს მოკავშირის როლი საქართველოს ხელისუფლებასა და თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ადმინისტრაციებს შორის. მსგავსი შემთხვევები ეხება სოფელში მცხოვრები მოსახლეობის გაუჩინარებას ან გატაცების ფაქტებს, როდესაც ისინი გადაკვეთენ სამხრეთ ოსეთის ან აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრე ზოლს[56].

მისიის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შექმნა (IPRM)

2009 წლის თებერვალში გამართულ ჟენევის მოლაპარაკებებზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც კონფლიქტის მხარეებს შორის ტარდება ინციდენტის პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) რეგულარული შეხვედრები [57] . აღნიშნულ შეხვევედრებში მონაწილეობდნენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ეუთოს, გაერო-ს, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები, მათ განიხილეს ინციდენტებთან დაკავშირებული საკითხები. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმს აქვს „ცხელი ხაზის“ სატელოფონო ფუნქცია, რომელსაც ორივე მხარე იყენებს. ბრიუსელის ზოგიერთი წარმომადგენლის ინფორმაციით ცხელი ხაზით მომსახურება სასარგებლო გამოდგა მონაწილეთათვის, რის შედეგადაც მონაწილეებს გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ინციდენტებზე და შესაძლო გახდა კონფლიქტური სიტუაციების თავიდან არიდება.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ აღნიშნული რეგიონები არ არის საქართველოს შემადგენელი ნაწილი [58] . **ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის** (IPRM)-ის მისიას გარკვეული სახის ურთიერთობა აკავშირებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან[59]. აფხაზეთისა

[56] ევროკავშირის შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია https://eumm.eu/
[57] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია http://mfa.gov.ge/ ბოლოს ნანახია 8 მარტი, 2018 წ.
[58] http://smr.gov.ge/ ბოლოს ნანახია 9 მარტი, 2018 წ.
[59] ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) http://smr.gov.ge/Uploads/IPRM_91172d89.pdf

და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ ტერიტორიებზე წვდომა ასევე აქვს ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში. აღნიშნული შეხვედრები იმართება შეხვედრები განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად დე ფაქტო ხელისუფლებასთან შეხვედრის მიზნით.

შეფასებები მისიაზე

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა დადებითად ფასდება ადგილობრივი და ასევე საერთაშორისო აქტორების მხრიდან, ისინი ფიქრობენ რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მოქმედება და საქმიანობა მნიშვნელოვანია[60].

ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის საქმიანობას და მნიშვნელობას ასევე პოზიტიურად აფასებენ ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორები.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიაჩნიათ რომ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მოქმედება მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და ოსეთის საზღვრის მიმდებარე რეგიონებში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით[61]. თავის მხრივ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია სტაბილიზაცია, კონფლიქტური სიტუაციების აღმოფხვრა და მოსახლეობაში უსაფრთხოების განცდის მიღწევა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია, უფრო აქტიურად და სასარგებლოდ უნდა მუშაობდეს, ვინაიდან მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. პასუხობს თუ არა მისია უფრო ფართო მიზნებს და გამოწვევებს ეს ცალკე საკითხია: ვინაიდან სადამკვირვებლო მისიის მიზანი არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირიუფრო ფართო მიზანს - კონფლიქტების პრევენციასა და სტაბილურობას უნდა პასუხობდეს.

ვინაიდან კონფლიქტური სიტუაციების პროცესი ჩიხშია შესული, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დარჩენის აუცილებლობა მნიშვნელოვანია, რადგანაც ცეცხლის შეწყვეტის მდგომარეობის შენარჩუნებას მეთვალყურეობა სჭირდება[62].

ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია, არც ისე პოზიტიურად ფასდება, ვინაიდან მისიის ყოფილი ხელმძღვანელი არ იყო პოპულარული აფხაზ ოფიციალურ პირებს შორის, ეს ფაქტი აფხაზმა ჩინოვნიკებმა სათავისოდ გამოიყენეს და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ის

[60] https://www.osce.org/ ბოლოს ნანახია 8 მარტი, 2018 წ.
[61] https://eumm.eu/ge/ ბოლოს ნანახია 8 მარტი, 2018 წ.
[62] http://mfa.gov.ge/ ბოლოს ნანახია 9მარტი, 2018 წ.

ფორმატიდან გავიდნენ.[63] აღნიშნული პროცესი ახლახანს განახლდა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აფხაზები ვერ მოქმედებენ რუსების მხარდაჭერის გარეშე, ამის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსებისთვისაც მიუღებელია ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია.

მისიამ ვერ შეძლო ცეცხლის შეწყვეტის 6-პუნქტიანი გეგმის მესამე პუნქტის სრულად შესრულება, რაც ითვალისწინებდა ჰუმანიტარული დახმარებისთვის გზის გათავისუფლებას[64]. ეს ფაქტორი განაპირობებს მისიის უმთავრეს სისუსტეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ისიც შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის წინააღმდეგი იყო მისიის მოქმედების[65]. რუსეთმა თავისი ქმედებებით იმდენი გააკეთა, რომ სადამკვირვებლო მისიას ხელი შეუშალა წვდომა ჰქონოდა დე ფაქტო რესპუბლიკების ტერიტორიებზე, ამით რუსეთმა დაარღვია 6-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა[66]. რუსეთი ისე მოქმედებს, რისი გაკეთების უფლებასაც მას მისცემენ.

საინტერესოა ერთ-ერთი უახლესი კვლევა, რომლის მიხედვითაც[67], ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმოამდგენლის აზრით, ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიას არ აქვს წვდომა დე ფაქტო რეგიონებზე, ამის გათვალისწინებით მისიის მოქმედება წარმატებულად ვერ ჩაითვლება, მაგრამ მისიის მუშაობის და ეფექტურობის მთლიანი სურათი დასაფასებელია და შესაბამისად უნდა შეფასდეს.

სამოქალაქო სექტორი მისიას აფასებს, როგორც ინფორმაციის სანდო წყაროს. იმის გათვალისწინებით, რომ წლების განმავლობაში ძალიან რთული იყო სიმართლის გაგება იმის შესახებ, თუ რა სიტუაცია იყო თვითგამოცხადებულ ტერიტორიებზე, ამიტომ სადამკვირვებლო მისიის სანდოობა ძალიან მნიშვნელოვანია[68]. რუსეთის ხელისუფლება სხვადასხვა ინციდენტების დროს ადანაშაულებდა საქართველოს ან ავრცელებდა ისეთ ინფორმაციებს, რომელთა მიხედვითაც იქ საერთოდ არაფერი ხდებოდა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სოფლის მოსახლეობას იტაცებენ, როდესაც ისინი გადაკვეთენ სამხრეთ ოსეთის ან აფხაზეთის სასაზღვრო ზოლს, ამ და სხვა საკითხების გათვალისწინებით მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვავს მისიის

---

[63] European Union Monitoring Mission in Georgia https://eumm.eu/en/new_media_gallery/gal ბოლოს ნანახია 9 მარტი, 2018 წ.

[64] http://mfa.gov.ge/ ბოლოს ნანახია 9 მარტი, 2018 წ.

[65] საქართველოში კონფლიქტის ადრეულ იგამოვლენისა და მშვიდობისმშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილეობის ანალიზი/შეფასება, ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, 2017, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2017 წ. თბილისი.

[66] ibid.

[67] ibid.

[68] ინტერვიუ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის თანამშრომელთან, 2018 წ. თებერვალი.

მუშაობით, ვინაიდან მათი აზრით მისია ვალდებულია მოახდინოს ამგვარი კონფლიქტების დარეგულირება. და თუ ამას ვერ შეძლებს, ამ შემთხვევაში მისიის საქმიანობა შეიძლება უარყოფითად შეფასდეს[69].

ადგილობრივ და საერთაშორისო წარმომადგენელთა შეხედულებები იმ შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს, როდესაც საქმე ეხება მისიის საქმიანობას ნდობის აღდგენის კუთხით. სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელთა აზრით, იმის მიუხედავად რომ მისიის საქმიანობა გარკვეულწილად დადებითია, მაინც ბევრი საქმეა გასაკეთებელი ნდობის აღდგენის კუთხით.

ევროკავშირის წარმომადგენელთა აზრით, არის შემთხვევები, როდესაც მისია იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ საკმარის ყურადღებას ვერ იჩენს. მისიის წარმომადგენელთა შეხედულებით კონფლიქტით დაზარალებულ ადამიანებს დიდი მოლოდინები აქვთ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის. გარდა ამისა, არის შემთხვევები როდესაც საქართველოს მთავრობა შესაბამის ყურადღებას არ იჩენს დევნილთა მიმართ, ეს ფაქტი ევროკავშირის ჩართულობის საკითხზე უარყოფითად მოქმედებს[70].

შეჯამება -ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

საერთო ჯამში, ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია დადებითად ფასდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების შემდეგ საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად შექმნილი მდგომარეობის შეფასების კუთხით, დღესდღეობით სადამკვირვებლო მისია ერთადერთი სამეთვალყურეო მისიაა მთელს ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, არის გარკვეული ხარვეზები და წინააღმდეგობრიობა. აგრეთვე დასაფასებელია ის საქმიანობა რომელსაც, მისია ახორციელებს. მისიის აქტიურობა და სტრატეგიები ხელს უწყობს არაოფიციალურ დიალოგს და რიგი პრობლემების გადაჭრას, რაც ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობის დამყარებას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, მისიის საქმიანობა მოსახლეობის მხრიდან დაინტერესებას უწყობს ხელს, რაც საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას ემსახურება.

[69] საქართველოში კონფლიქტის ადრეულ იგამოვლენისა და მშვიდობისმშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილეობის ანალიზი/შეფასება, ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, 2017, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2017 წ. თბილისი.
[70] Ibid.

ჟენევის მოლაპარაკებები

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები (GID) შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი დიპლომატიური პლატფორმაა, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში კონფლიქტის ირგვლივ. მიუხედავად ამისა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებმა ვერ შეძლო კონფლიქტის დიპლომატიური გზებით მოგვარება.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები დაარსდა 2008 წელს ჟენევაში (შვეიცარია)[71], მოლაპარაკებების მიზანი იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის განხილვა და რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხების მოგვარება. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების, თანათავჯდომარეები არიან ევროკავშირი (EU), ეუთო (OSCE) და გაერო (UNOMIG), რომლებიც აერთიანებს კონფლიქტის მხარეებს საქართველოსა და რუსეთს, ასევე შეერთებულ შტატებს როგორც დაინტერესებულ მხარეს. ბოლო წლების განმავლობაში ჟენევის პროცესი ერთადერთი საშუალებაა, რომელიც ინტერესს იჩენს კონფლიქტის მოგვარების, უსაფრთხოების, დევნილთა საკითხების და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარული საჭიროებების კუთხით. ჟენევის მოლაპარაკებები წელიწადში 4-ჯერ ტარდება[72]. მოლაპარაკებები იმართება ორი დღის მანძილზე, ერთი შეხვედრა არის ოფიციალური, ხოლო ორი შეხვედრა არაოფიციალური სახისაა. პირველ დღეს არის ოფიციალური შეხვედრა, სადაც თანათავჯდომარეები ხვდებიან წარმომადგენლებს საქართველოდან, რუსეთიდან და შეერთებული შტატებიდან. ხოლო მეორე დღეს შეხვედრები ორ პარალელურ არაოფიციალურ სამუშაო ჯგუფში გრძელდება. ერთ-ერთი მათგანი ეხება უსაფრთხოების საკითხებს, ხოლო მეორე ჰუმანიტარულს, მათ შორის დევნილებისა და ლტოლვილების პრობლემებს[73].

2008 წლის ომის დასასრულს მხარეები შეთანხმდნენ 6-პუნქტიან სამშვიდობო გეგმაზე. აღნიშნულ შეთანხმებაში მონაწილეობას იღებდნენ საფრანგეთის, რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტები. 6-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმაზე

---

[71] EmailPrint
ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები: მიზნები და შედეგები, თებერვალი 2015. ავტორი: ალექსანდრე ეროიანი, მარიამ ცხადაძე http://socium.ge/index.php/articles/student-articles/89-2015-02-01-09-18-04 ბოლოს ნანახია 21მარტი, 2018 წ.

[72] ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=92 ბოლოს ნანახია 21 მარტი, 2018 წ.

[73] ჟენევის საერთაშორიო დისკუსიაში მონაწილეობისთვის საქართველოდან დელეგაცია, 08 ოქტომბერი, 2017, ipressge, http://www.ipress.ge/new/87588-khval-zhenevis-saertashoriso-diskusiebis-41e-raundi-gaimarteba ბოლოს ნანახია 21 მარტი, 2018 წ.

შეთანხმების თარიღია 2008 წლის 12 აგვისტო.[74]. აღნიშნული გეგმა, ცნობილია, როგორც სარკოზი-მედვედევის გეგმა, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სტაბილურობისა და უსაფრთხოების კუთხით მოლაპარაკებების დაწყებას ითვალისწინებდა. ამის მიუხედავად, რუსეთი არ დაუბრუნდა ომამდე დაკავებულ პოზიციებს და 2008 წლის 26 აგვისტოს საქართველოს სეპარატისტული ერთეულების დამოუკიდებლობა აღიარა და ამით დაარღვია 6-პუნქტიანი სამშვიდობო შეთანხმება [75]. საფრანგეთი იძულებული გახდა 2008 წლის 8 სექტემბერს მოლაპარაკებები დაეწყო რუსეთთან 6-პუნქტიანი გეგმის შესრულების თაობაზე. აღნიშნული გეგმის მიხედვით 2008 წლის 15 ოქტომბერს ჟენევაში დაიწყებოდა საერთაშორისო მოლაპარაკებები, სადაც განიხილავდნენ შემდეგ საკითხებს[76]: რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების დამყარება, ლტოლვილთა უზრუნველყოფა და ყველა ის საკითხი, რომლებზეც ორივე მხარე შეთანხმდებოდა.

ჟენევის მოლაპარაკებების მიმართ ორივე მხარეს განსხვავებული მოლოდინები ჰქონდათ. საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა დევნილების დაბრუნება, რუსული საჯარისო ფორმირებების საერთაშორისო მშვიდობისმყოფელებით ჩანაცვლება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რუსეთს კიდევ სურდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ვინაიდან მხარეები აღნიშნულ საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ, რუსეთმა ვეტო დაადო ეუთოსა (OSCE) და გაეროს (UNOMIG) მანდატის გაგრძელებას[77]. აღნიშნულმა მისიებმა მუშაობა შეწყვიტეს 2008 წლის დეკემბერსა და 2009 წლის ივნისში, რის შედეგადაც დარჩა მხოლოდ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, რომელიც ცდილობს, საქართველოში კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

ჯრჯერობით ჟენევის მოლაპარაკებების პროცესი წარუმატებელია დევნილთა დაბრუნების და კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხითაც არ არის რაიმე შეთანხმება მიღწეული [78]. ჟენევის მოლაპარაკებების მიმდინარეობის დროს ყველაზე

---

[74] http://www.ipress.ge/new/40526-08082008-9-tseli-agvistos-omidan ბოლოს ნანახია 21მარტი, 2018 წ.

[75] მედვედევმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, სივილ ჯორჯია, თბილისი / 26 აგვ.'08 / 15:15 http://www.civil.ge/geo/article.php?id=19296 ბოლოს ნანახია 21 მარტი, 2018 წ.

[76] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება რუსეთის ფედერაციის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს გამუდმებული დარღვევების შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი http://www.mfa.gov.ge/News/%E1%83%AA-(316).aspx ბოლოს ნანახია 21 მარტი, 2018 წ.

[77] რუსეთმა გაეროს მისიას საქართველოში ვეტო დაადო, სივილ ჯორჯია, თბილისი / 16 ივნ.'09 http://www.civil.ge/geo/article.php?id=21382 ბოლოს ნანახია 21 მარტი, 2018 წ.

[78] ჟენევის ფორმატის მომავალი, რუსეთის ფედერაციის მიერ საქარეთველოს წინააღმდეგ წარმოებული 23-წლიანი აგრესიისა, 26 ოქტომბერი, 2014 ტაბულა, 2009–2018 http://www.tabula.ge/ge/story/89019-zhenevis-formatis-momavali ბოლოს ნანახია 29 მარტი, 2018 წ.

პრობლემატური საკითხი იყო აფხაზეთისა და ოსეტისსტატუსის განხილვა. აფხაზი და ოსი მონაწილეები, ხშირად ტოვებდნენ სამუშაო ჯგუფების შეხვედრებს, ხოლო რუსეთი თავის მხრივ ცდილობდა ხელი სეეშალა შეხვედრების ღატარების პროცესისთვის.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების კიდევ ერთ უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს 6-პუნქტიანი სამშვიდობო შეთანხმება. საქართველოს ხელისუფლების აზრით რუსეთმა დაარღვია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან საკუთარი ჯარები არ დააბრუნა ომამდე დაკავებულ პოზიციებზე[79]. ამის საპასუხოდ რუსეთი ამტკიცებს, რომ მან გეგმის ყველა პუნქტი შეასრულა და სამხედრო ძალები გაიყვა საქართველოს ტერიტორიიდან. რუსეთი თვლის, რომ საჯარისო ერთეულები აფხაზეთში და ოსეთში კანონიერად იმყოფებიან. ქართული მხარე ფიქრობს, რომ კონფლიქტი მხოლოდ საქართველოს და რუსეთს შორის მიმდინარეობს, ხოლო რუსეთი თავს არ მიიჩნევს კონფლიქტის მონაწილე მხარედ და თვლის, რომ ამ ეტაპზე არსებობს ორი სახის კონფლიქტი: ერთი თბილისსა და ცხინვალს შორის, ხოლო მეორე თბილისსა და სოხუმს შორის[80].

ქართული მხარე მიიჩნევს, რომ ჟენევის მოლაპარაკებები წარუმატებელი აღმოჩნდა კონფლიქტის მხარეთა შორის ნდობის აღდგენის კუთხით, თუმცა ამ ეტაპზე ვითარება უფრო სტაბილურია.

კიდევ ერთი უარყოფითი მხარე რომელიც, ჟენევის მოლაპარაკებებს უკავშირდება არის სამოქალაქო საზოგადოების სრული გამოთიშვა პროცესიდან. აღნიშნული მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს, ამიტომ სამოქალაქო საზოგადოებისთვის უცნობია რა საკითხებზე მიდის საუბარი შეხვედრების დროს ასევე სამოქალაქო საზოგადოებას არ აქვთ ინფორმაცია მოლაპარაკებების შედეგების შესახებ.

პატიმართა გაცვლის ფაქტმა თბილისსა და სოხუმს შორის ჟენევის მოლაპარაკებების ნაყოფიერი მუშაობის იმედი დააბრუნა, თუმცა როგორც ცნობილი გახდა პატიმართა გაცვლა მხარეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების შედეგი იყო და ჟენევის მოლაპარაკებების პროცესს არანაირი კავშირი არ ჰქონდა ამ ფაქტთან.

---

[79] რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების დარღვევები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი http://mfa.gov.ge/News/%E1%83%A0%E1%83%A83%91.aspx ბოლოს ნანახია 29 მარტი, 2018 წ.

[80] ჟენევის მოლაპარაკებებზე ძალის გამოუყენებლობის დეკლარაციას მიიღებენ - კავკასიას "ზეპირი მშვიდობისთვის" ამზადებენ, 2018-03-21, ნიუსპოსტი, http://www.newposts.ge/?l=ge& 3%90 ბოლოს ნანახია 29 მარტი, 2018 წ.

იმის მიუხედავად, რომ ჟენევის მოლაპარაკებებს პროგრესი არ აქვს, დაპირისპირებული მხარეები მაინც იღებენ შეხვედრებში მონაწილეობას და ერთმანეთს უზიარებენ იფრომაციას, თუმცა ისინი ერთმანეთს ბევრ საკითხში არ ეთანხმებიან.

2012 წელს, როდესაც საქართველოს ხელისუფლება შეიცვალა საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლები აბაშიძე-კარასინის ფორმატის ფარგლებში ხვდებიან ერთმანეთს. აღნიშნულ შეხვედრებში ძირითადად ეხება ვაჭრობის, ტრანსპორტის, კულტურისა და ჰუმანიტარულ საკითხებს. საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ემხრობა ჟენევის მოლაპარაკებების არსებული ფორმატის შენარჩუნების მნიშვნელობას.

ჟენევის მოლაპარაკებები აგრეთვე შესაძლებლობას აძლევს აფხაზებსა და ოსებს საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიქციონ მათ პრობლემებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ თვითგამოცხადებული რეგიონებისთვის ყურადღების მიქცევა საკმაოდ შეზღუდულია, ვინაიდან ისინი რეალურად მოსკოვის მიერ დაწერილი სცენარით მოქმედებენ.

ევროკავშირის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ჟენევის მოლაპარაკებები ძირითადად კონფლიქტის ტრანსფორმაციის მექანიზმი უფროა, ვიდრე კონფლიქტის მოგვარების მექანიზმი. მოლაპარაკებების თავდაპირველი მიზანი იყო კონფლიქტის ტრანსფორმაცია და აქცენტის გაკეთება ადამიანებზე, ვინაიდან გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება შესაძლებელი ყოფილიყო.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში სამოქალაქო საზოგადოება არ მონაწილეობს. ასევე, უნდა აღინიშნოს რომ წლებმა არსებითი პროგრესის გარეშე ჩაიარა, ამიტომ აუცილებელია ცვლილებები აღნიშნულ პროცესში.

შეხვედრების უმეტესობა დადებითი შედეგის გარეშე მთავრდება, ვინაიდან ქართველები არ საუბრობენ აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან, არც აფხაზები და ოსები საუბრობენ ქართველებთან, ასევე რუსები არ საუბრობენ ქართველებთან და არც ქართველები საუბრობენ რუსებთან.

აღნიშნულ მოლაპარაკებებში მონაწილე ყველა მხარე თვლის, რომ ცვლილებები აუცილებელია. ზოგი მიიჩნევს, რომ საქართველო ამ ცვლილებებს არ უნდა შეუშინდეს, იმის მიუხედავად თუ რა შედეგი მოყვება აღნიშნულ მოლაპარაკებებს. გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჟენევის ფორმატი არ უნდა შეიცვალოს, ხოლო ევროკავშირი თვლის, რომ დღევანდელი გადმოსახედიდან გამომდინარე ცვლილებები არ არის საჭირო, თუმცა შეიძლება შეიქმნას

გარკვეული სახის შეზღუდვები, იმ შემთხვევაში თუ სიტუაცია გაუარესდება და აღნიშნულ მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყვება.

ყველა - ადგილობრივი თუ საერთაშორისო რესპოდენტი, ვინც გამოიკითხა აღნიშნავს, რომ ევროკავშირს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოლაპარაკებებში და სამ თანა-თავჯდომარეს შორის ყველაზე აქტიურია. ის ფაქტი, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს დახურულ კარს მიღმა, უარყოფითად მოქმედებს ევროკავშირის როლის შეფასებისას. თუმცა აღნიშნული ინტერვიუების მიხედვით გარკვეული შედეგის დანახვა შესაძლებელია.

მოლაპარაკებების სიმძაფრემ და კონფლიქტის წარმოშობის საფრთხემ ევროკავშირი იძულებული გახადა მხარეთა შორის შუამავლის როლი ჰქონოდა. რუსეთი არის ჟენევის მოლაპარაკებების ყველაზე რთული მონაწილე, რომელიც ევროკავშირის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. რუსეთს და ევროკავშირს განსხვავებული ინტერესები აქვთ, ამიტომ რუსეთი პრობლემებს უქმნის ევროკავშირს დაპირისპირებული მხარეების ერთმანეთთან შერიგების კუთხით. ევროკავშირი და სხვა თანა-თავჯდომარეები მიზნად ისახავენ კონფლიქტის მოგვარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ჩარჩოში, მაგრამ რუსეთი 2008 წლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიარებს.

2008 წლიდან დაწყებული, საერთო ჯამში, დღემდე მოლაპარაკებების 36 რაუნდი ჩატარდა სამუშაო ჯგუფის დონეზე. ამ მოლაპარაკებების ერთადერთი დადებითი შედეგი არის IPRM[81]-ის (ინციდენტების პრევენციის და რეაგირების მექანიზმი) დაარსება.

ინციდენტების პრევენციის და რეაგირების მექანიზმი: შეხვედრები ერგნეთში და გალში

IPRM - ის მექანიზმის დაარსების გადაწყვეტილება 2009 წლის თებერვალში მიიღეს მოლაპარაკებების მე - 5 რაუნდზე[82]. IPRM მიზნად ისახავს უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებას, კრიმინალურ ქმედებებზე რეაგირებას, ჰუმანიტარული დახმარების ეფექტურ მიწოდებას, განსაკუთრებული ყურადღება კი ინციდენტის პრევენციასა და მათზე რეაგირებას ეთმობა.

[81] Press releases related to the Incident Prevention and Response Mechanism (IPRM) https://www.osce.org/home/104212 ბოლოს ნანახია 27 მარტი, 2018 წ https://www.osce.org/home

[82] ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) , შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, http://smr.gov.ge/Uploads/IPRM_91172d89.pdf ბოლოს ნანახია 29 მარტი, 2018 წ

IPRM - ის შეხვედრები იმართება რეგულარულად, ზოგჯერ ტარდება დამატებითი შეხვედრები საჭიროების და მონაწილეების მოთხოვნის შესაბამისად. IPRM - ი გარკვეული დროის მანძილზე შეჩერებული იყო, ვინაიდან ორივე - ოსურმა და აფხაზურმა მხარემ შეწყვიტა მონაწილეობა 2009-2010 და 2012-2016 წლებში. ეუთოსა და გაეროს მიერ ორგანიზებული IPRM - ის შეხვედრები ერგნეთსა და გალში, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარედ ტარდებოდა. დღემდე, მთლიანობაში ერგნეთში 69, ხოლო გალში 38 შეხვედრა ჩატარდა.

IPRM - ის დაარსების გარდა ჟენევის მოლაპარაკებებს სხვა რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. 2009 წლის დასაწყისში მხარეები IPRM - ის დაარსების პარალელურად ორ დოკუმენტზე მუშაობდნენ. ერთი დოკუმენტი ძალის გამოუყენებლობას, ხოლო მეორე დევნილთა დაბრუნებას ეხებოდა. თუმცა დოკუმენტზე ხელი არ მოუწერიათ. საქართველოს მთავრობის მტკიცებით ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტზე ხელი საქართველომ და რუსეთმა უნდა მოაწერონ, როგორც კონფლიქტის ორმა მხარემ, თუმცა რუსეთი უარყოფს, იმ ფაქტს რომ ის კონფლიქტის რომელიმე მხარეს წარმოადგენს.

ინციდენტების პრევენციის შეხვედრები (IPRM ერგნეთი)

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები ერგნეთში ყოველთვიურად იმართება. მორიგი შეხვედრა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გაიმართა 2018 წლის 24 იანვარს. აღნიშნული შეხვედრა პოზიტიურ და მეგობრულ გარემოში ჩატარდა[83].

შეხვედრის ორგანიზატორი იყო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ერიკ ჰოგი. შეხვედრაზე ბატონმა ჰოგმა მიმოიხილა ბოლო შეხვედრის შემდეგ განვითარებული მოვლენები, რომელიც 2017 წლის 19 დეკემბერს ჩატარდა. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ არსებული უსაფრთხოების მდგომარეობა შეფასდა როგორც მშვიდი.

მონაწილეების უკმაყოფილება გამოიწვია ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აუცილებლობამ და ხაზგასმით აღინიშნა, რომ ცხელი ხაზის გამოყენება აუცილებელია მაშინ როდესაც ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ შეინიშნებიან საეჭვო პირები ცეცხლსასროლი იარაღის დანხლებით.

[83] ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში 84-ე შეხვედრა გაიმართა https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6143/ ბოლოს ნანახია 12 აპრილი, 2018 წ.

შეხვედრაზე, ასევე იმსჯელეს ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის და შეშის შეგროვების საკითხებზე.

თანათავჯდომარეების მხრიდან დადებითად შეფასდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ წამოყენებული წინადადება, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში მოქმედი უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობების ჩამონათვლის გაზრდას.

მორიგი შეხვედრა ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გაიმართა 2018 წლის 1 მარტს[84].

აღნიშნული შეხვედრის ინიციატორები იყვნენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ერიკ ჰოგი და ეუთოს წარმომადგენელი ჯეიმს ოშეა. ისევე როგორც წინა შეხვედრაზე, ამ შეხვედრაზეც ბატონმა ერიკ ჰოგმა 2018 წლის 24 იანვარს ჩატარებული უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა წარმოადგინა და ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ არსებულ უსაფრთხოების მდგომარეობაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა.

შეხვედრის მონაწილეებმა მიუსამძიმრეს 22 თებერვალს პატიმრობაში გარდაცვლილ არჩილ ტატუნაშვილის ოჯახის წევრებს. თანათავჯდომარეებმა მონაწილეებს დაავალეს ინფორმაციების მოპოვება და გამოძიების დაწყება ბატონი არჩილ ტატუნაშვილის ტრაგიკულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ასევე აქტიურობა იმ კუთხით, რომ რაც შეიძლება მალე გადაეცათ გარდაცვლილის ცხედარი ოჯახის წევრებისთვის. მსჯელობის საგანი იყო ტატუნაშვილთან ერთად დაკავებული მოქალაქეების მდგომარეობაც. ბატონმა ერიკ ჰოგმა კვლავ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მზად არის მხარი დაუჭიროს მიმდინარე გამოძიებას.

შეხვედრის მონაწილეები დადებითად აფასებენ ინციდენტის პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე მნიშვნელოვანი ინფორმაციების გაცვლის აუცილებლობას და თანხმდებიან, რომ მეტი დრო არის საჭირო ბატონი ტატუნაშვილის საქმეზე საკმარისი პროგრესის მისაღწევად[85].

[84] Ibid. https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6222/ ბოლოს ნანახია 12 აპრილი, 2018 წ.
[85] ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში 85-ე შეხვედრა გაიმართა https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6222/ ბოლოს ნანახია 12 აპრილი, 2018 წ.

ინციდენტების პრევენციის შეხვედრები (IPRM გალი)

2018 წლის 27 თებერვალს გალში გაეროს თავჯდომარეობით და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონაწილეობით, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეგირების მექანიზმის ფარგლებში მორიგი შეხვედრა ჩატარდა[86].

შეხვედრა ღია და გულახდილ ატმოსფეროში გაიმართა. ყველა მონაწილე შეთანხმდა, რომ არსებული უსაფრთხოების მდგომარეობა 17 იანვარს ჩატარებული წინა შეხვედრის შემდეგ შედარებით სტაბილური იყო, ახალ სერიოზულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია.

დღის წესრიგში კვლავ იყო ბატონი ოთხოზორიას მკვლელობის საკითხი. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მართლმსაჯულება სათანადოდ არ სრულდება და მონაწილეებს თანამშრომლობის გაღრმავების გზების განხილვასა და ერთობლივი ძალისხმევისკენ მოუწოდა.

მონაწილეებმა განიხილეს ადმინისტრაციულ საზღვართან არსებული სტაბილურობის საკითხი მიმდინარე მოვლენებით გამოწვეული ცხელი ხაზის გააქტიურების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით. ფართოდ განიხილებოდა გამოწვევები ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილებასთან დაკავშირებით. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ყურადღება გაამახვილა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის უარყოფით ზეგავლენაზე ადგილობრივ მოსახლეობაზე. მონაწილეებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს ადმინისტრაციული საზღვრის გადამკვეთი სკოლის მოსწავლეთა რიცხვის შემცირებასა და მათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებზე[87].

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მორიგი შეხვედრა 2018 წლის 21 მარტს გალში გაეროს თავჯდომარეობით და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონაწილეობით გაიმართა[88].

შეხვედრა კონსტრუქციულ ატმოსფეროში გაიმართა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შეფასებით ყველა მონაწილე შეთანხმდა, რომ აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ადგილზე არსებული უსაფრთხოების

[86] გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში რიგით 53-ე შეხვედრა გაიმართა https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6219/ ბოლოს ნანახია 12 აპრილი, 2018 წ.
[87] Ibid. https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6219/ ბოლოს ნანახია 12 აპრილი, 2018 წ.
[88] გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში რიგით 54-ე შეხვედრა გაიმართა https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6251/ ბოლოს ნანახია 12 აპრილი, 2018 წ.

მდგომარეობა 2018 წლის 27 თებერვალს ჩატარებული წინა შეხვედრის შემდეგ შედარებით სტაბილური იყო, ახალ სერიოზულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მოუწოდა ყველა მონაწილეს გააგრძელონ ცხელი ხაზის სრული გამოყენება და ყველა შესაძლო ზომა მიიღონ ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში კვლავ განიხილეს ბატონი ოთხოზორიას მკვლელობის საკითხი, რასაც პროგრესი არ მოყოლია. მონაწილეებმა ინფორმაცია გაცვალეს ბოლოდროინდელ დაკავებათა შესახებ.

მომდევნო შეხვედრა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გალში 2018 წლის 25 აპრილს გაიმართება[89].

დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში გაანალიზებული მასალიდან და ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1990 წლიდან მოყოლებული დღემდე ევროკავშირი საქართველოში კონფლიქტების მოგვარების კუთხით საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს. ევროკავშირს და საქართველოს შორის ხელი მოეწერა მრავალ მნიშვნელოვან შეთანხმებას, მათ შორის პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, ასევე ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის 6-პუნქტიან სამშვიდობო ხელშეკრულებას და ასოცირების ხელშეკრულებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ. აღსანიშნია ისიც, რომ ევროკავშირმა შექმნა და საქართველოს შესთავაზა რიგი დამხმარე ინსტრუმენტებისა: 1) გაწევრიანებამდე დახმარების ინსტრუმენტი (IPA), ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP), ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI), აღმოსავლეთ პარტნიორობა (EAP). ასევე ინიცირება მოახდინა და შეიქმნა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM). ამრიგად, ყველა ზემოთჩამოთვლილი მექანიზმი საქართველოს მხარდაჭერასა და კონფლიქტების მოგვარებასთვის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ევროკავშირი 2008 წლის ომამდე საქართველოს ხელისუფლებას აქტიურად ეხმარებოდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, როგორც ჰუმანიტარული, ასევე ფინანსური კუთხით. ევროკავშირის ინიციატივით ხელი შეეწყო საქართველოს

[89] Ibid. https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6251/ ბოლოს ნანახია 12 აპრილი, 2018 წ.

სამშვიდობო პროცესის გაძლიერებას და შეიქმნა ისეთი ფორმატი, რომელიც უნიკალურია და დღემდე რჩება ერთადერთ სამშვიდფობო არხად. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან პარალელურად (EUMM), ამუშავებულია ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები (GID).

2008 წელს ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე.წ 6-პუნქტიან შეთანხმებას.

ბოლო წლების განმავლობაში ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები (GID) ერთადერთ საშუალებად რცება, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის დიალოგით ხელს უწყობს კონფლიქტის მოგვარების, უსაფრთხოების, დევნილთა საკითხების და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემათა განხილვას ჰუმანიტარული საჭიროებების კუთხით. როგორც კვლევის ნაწილში აღვნიშნეთ, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავჯდომარეები, ევროკავშირი (EU), ეუთო (OSCE) და გაერო (UNOMIG), აერთიანებენ ძალისხმევას კონფლიქტის მხარეებს საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგის შესანარჩუნებლად, ასევე შეერთებული შტატების, როგორც საქართველოს დაინტერესებული პარტნიორის მონაწილეობას. საერთო ჯამში, მიუხედავად დღემდე ჟენევის მოლაპარაკებების ჩატარებული რაუნდებისა, მოლაპარაკებების დადებითი შედეგი არის IPRM-ის (ინციდენტების პრევენციის და რეაგირების მექანიზმი) აქტიური მუშაობა ერგნეთში და გალში. აქვე აღსანიშნავია, რომ რიგი საექსპერტო შეფასებები აღნიშნავენ, რომ IPRM - ის დაარსების გარდა ჟენევის მოლაპარაკებებს სხვა რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

იმავდროულად, ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია და მისი საქმიანობა დადებითად ფასდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების შემდეგ საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად შექმნილი მდგომარეობის შეფასების კუთხით, დღესდღეობით სადამკვირვებლო მისია ერთადერთი სამეთვალყურეო მისიაა საქართველოს ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, საექსპერტო შეფასებების მიხედვით, არის გარკვეული ხარვეზები და წინააღმდეგობრიობა. თუმცა, დასაფასებელია ის საქმიანობა რომელსაც, მისია ახორციელებს. მისიის აქტიურობა და სტრატეგიები ხელს უწყობს არაოფიციალურ და ოფიციალურ დიალოგს და რიგი პრობლემების გადაჭრას, რაც ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობის გაძლიერებას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, მისიის საქმიანობა მოსახლეობის მხრიდან დაინტერესებას უწყობს ხელს, რაც საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას ემსახურება.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგად 3 ძირითადი რეკომენდაცია შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. საქართველოს ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა აწარმოოს დიალოგი საქართველოს და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ფართე ჯგუფებთან, რათა ოპირდაპირ მიიღოს რეკომენდაციები კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და მდგრადი მშვიდობის მშენებლობისთვის. ამით საქართველოს ხელისუფლება უზრუნველყოფს მონაწილეობას, გამჭვირვალობასა და ღია მმართველობის ეფექტიან განხორციელებას;
2. ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში (ყველა შესდაბამისმა სტრუქტურულმა დანაყოფმა და ინსტიტუციამ) უნდა უფრო პროაქტიურად შეუწყოს ხელი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას და დიალოგის გაძლიერებას სახელისუფლო ინსტიტუტებთან საქართველოში და ევროკავშირში, რათა უზრუნველყოს დემოკრატიის პრინციპების რეალიზება საქართველოში და ხელისუფლების წახალისება ამ ვალდებულებათა შესასრულებლად;
3. დონორთა საზოგადოებამ ინიცირება უნდა მოახდინონ რეგულარული დიალოგის შექმნისა და განხორციელების მიმართულებით, სადაც შესაძლებელი იქნება ძირითადი სამკუთხედის პრინციპის განხორციელება: სამოქალაქო სექტორი-დონორთა საზოგადოება-ხელისუფლება - დაგეგმვა და იმპლემენტაცია საქართველოს სამშვიდობო პროცესების გასაძლიერებლად და გრძელვადიანი მშვიდობის მისაღწევად - გამომდინარე გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნების (Sustanable Development Goals (SDG)) 2030 დღის წესრიგის (2030 Peace Agenda) განხორციელებას საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. INOGATE & Georgia, In brief Energy cooperation, INOGATE secretariat http://www.inogate.org/
2. საქართველოს სტრატეგიული ამოცანები და მიზნები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი. http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/%E1%98.aspx
3. http://infocenter.gov.ge/georgia-and-the-european-union/
4. „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA)“ http://www.ei-lat.ge/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebis-qronologia/366-evrokavshiris-tsarmomadgenloba-saqarthveloshi-1995.html?lang=ka-GE
5. „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA)“ http://www.ei-lat.ge/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebis-qronologia/367--shethankhmeba-partniorobisa-da-thanamshromlobis-shesakheb-pca.html?lang=ka-GE
6. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation
7. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და
8. ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation
9. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, http://smr.gov.ge/Uploads/66c4e7.pdf
10. Instrument for Pre-Accession Assistance (IPA), European Commission http://ec.europa.eu/regional_policy/en/funding/ipa/
11. European Neighbourhood Policy (ENP), European Union, European External Action Service https://eeas.europa.eu/topics/european-neighbourhood-policy-enp_en წ.
12. The European Neighbourhood Instrument (ENI), The EU Neighbours portal is part of the OPEN Neighbourhood Programme. https://www.euneighbours.eu/en/policy/european-neighbourhood-instrument-eni
13. Eastern Partnership, European Union, European External Action Service, https://eeas.europa.eu/topics/eastern-partnership_en
14. რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების დარღვევები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://mfa.gov.ge/News/%E1%83% %91.aspx
15. United Nations Observer Mission in Georgia, (UNOMIG) https://peacekeeping.un.org/mission/past/unomig/index.html
16. The OSCE stands for the Organization for Security and Co-operation in Europe. http://www.osce.org
17. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში http://eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation
18. European Union Monitoring Mission in Georgia, https://eumm.eu/
19. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები
20. ჟენევის მოლაპარაკებები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://mfa.gov.ge/Occupied-Territories/Jeneva-Talks.aspx
21. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation
22. გზამკვლევი ევროკავშირის/შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლისთვის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://www.mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx
23. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation
24. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement
25. Ibid. http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement
26. Ibid. http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement
27. Whitman, R. & Wolff, S. 2010. The EU as a Conflict Manager? The Case of Georgia and Its Implications. International Affairs, 86(1), 87-107.

28. In 1994, ECHO gave humanitarian aid worth a total of 17.306 million Ecufor Georgia, including nine million Ecu in food aid. ECHO is the biggest donor of humanitarian aid in Georgia. http://europa.eu/rapid/press-release_IP-95-136_en.htm
29. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება http://eu-nato.gov.ge/ge/eu/agreement
30. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP)http://eu-nato.gov.ge/ge/eu/neighborhood-policy
31. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა https://eumm.eu/ge/eu_in_georgia/what_is_eu_foreign_policy
32. ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია (EUJUST THEMIS) საქართველოში 12 თვე გაგრძელდა. ეს ევროკავშირის მიერ ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) კონტექსტში განხორციელებული პირველი მისია იყო, რომლის მიზანს წარმოდგენდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის შექმნა, რომელიც წარმატებით განხორციელდა.
33. Chronology of major events of EU-Georgia cooperationhttp://www.mfa.gov.ge/ =en-US
34. საქართველოში კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობისმშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილეობის ანალიზი/შეფასება, ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, 2017, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
35. ანგარიში ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.3&d=HASH01df166fe420fa888067b2b6.3
36. საქართველოში კონფლიქტის ადრეულ იგამოვლენისა და მშვიდობისმშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილეობის ანალიზი/შეფასება, ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, 2017, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2017 წ. თბილისი.
37. სერგეი შამბა: მივესალმები ევროპულ სივრცეში " ჩართულობას აღიარების გარეშე" ციტატა, - ხუთშაბათი 19:55 04.19.2018 http://ghn.ge/print.php?print=17684
38. UNITED NATIONS, ოფიციალური ვებგვერდი http://www.un.org/Depts/DPKO/Missions/unomig/unomigB.htm
39. OSCE Mission to Georgia (closed) https://www.osce.org/georgia-closed
40. GROUP OF FRIENDS OF SECRETARY-GENERAL REVIEW GEORGIA-ABKHAZ PEACE PROCESS, United Nations, New York, NY 10017 http://www.un.org/press/en/2004/sgsm9646.doc.htm
41. United Nations Observer Mission in Georgia, Maintained by the Peace and Security Section of the Department of Public Information in cooperation with the Department of Peacekeeping Operations, United Nations, 2009. https://peacekeeping.un.org/mission/past/unomig/index.html
42. გაეროს დამკვირვებელთა მისიის მანდატი, მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს 937-ე
43. რეზოლუციით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, (გაზეთი 'საქართველოს რესპუბლიკა, # 131, 1994 წლის 26 ივლისი) http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2015/09/1994-%98.-11.pdf
44. ლექსიკონები, სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7510 The UNHCR Representatation in Georgia, UNHCR 2001-2018 http://www.unhcr.org/georgia.html
45. United Nations Development Programme, საქართველო, 2018 http://www.ge.undp.org/
46. United Nations Office for the Coordination of Humanitarian Affairs, https://www.unocha.org/
47. UNV is administered by the United Nations Development Programme (UNDP), https://www.unv.org/
48. Abkhazia-Georgia, MISSION NOTES, The year 2007, United Nations, http://peaceoperationsreview.org/wp-content/uploads/2014/10/2008_abk_georgia_mission_notes.pdf
49. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა http://eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation
50. European Union Monitoring Mission in Georgia, ევროკავშირის შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია https://eumm.eu/ge/
51. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო https://mod.gov.ge/; ურთიერთგაგების მემორანდუმი, https://mod.gov.ge/ge/news/read/621/memorandum-of-understanding ბოლოს ნანახია 8 მარტი, 2018 წ.
52. ევროკავშირის შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია https://eumm.eu/ge/
53. ევროკავშირის შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია https://eumm.eu/ http://www.eu-nato.gov.ge/
54. ევროკავშირის შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია https://eumm.eu/
55. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია http://mfa.gov.ge/
56. http://smr.gov.ge/ ბოლოს ნანახია 9 მარტი, 2018 წ.

57. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) http://smr.gov.ge/Uploads/IPRM_91172d89.pdf
58. https://www.osce.org/
59. https://eumm.eu/ge/
60. http://mfa.gov.ge/
61. European Union Monitoring Mission in Georgia https://eumm.eu/en/new_media_gallery/gal ბოლოს http://mfa.gov.ge/
62. საქართველოში კონფლიქტის ადრეულ იგამოვლენისა და მშვიდობისმშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილეობის ანალიზი/შეფასება, ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, 2017, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2017 წ. თბილისი.
63. ინტერვიუ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის თანამშრომელთან, 2018 წ. თებერვალი.
64. საქართველოში კონფლიქტის ადრეულ იგამოვლენისა და მშვიდობისმშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილეობის ანალიზი/შეფასება, ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, 2017, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2017 წ. თბილისი.
65. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები: მიზნები და შედეგები, თებერვალი 2015. ავტორი: ალექსანდრე ეროიანი, მარიამ ცხადაძე http://socium.ge/index.php/articles/student-articles/89-2015-02-01-09-18-04
66. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=92
67. ჟენევის საერთაშორიო დისკუსიაში მონაწილეობისთვის საქართველოდან დელეგაცია, 08 ოქტომბერი, 2017, ipressge, http://www.ipress.ge/new/87588-khval-zhenevis-saertashoriso-diskusiebis-41e-raundi-gaimarteba http://www.ipress.ge/new/40526-08082008-9-tseli-agvistos-omidan
68. მედვედევმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, სივილ ჯორჯია, თბილისი / 26 აგვ.'08 / 15:15 http://www.civil.ge/geo/article.php?id=19296
69. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება რუსეთის ფედერაციის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს გამუდმებული დარღვევების შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი http://www.mfa.gov.ge/News/%E1%83%AA-(316).aspx
70. რუსეთმა გაეროს მისიას საქართველოში ვეტო დაადო, სივილ ჯორჯია, თბილისი / 16 ივნ.'09 http://www.civil.ge/geo/article.php?id=21382
71. ჟენევის ფორმატის მომავალი, რუსეთის ფედერაციის მიერ საქარეთველოს წინააღმდეგ წარმოებული 23-წლიანი აგრესიისა, 26 ოქტომბერი, 2014 ტაბულა, 2009–2018 http://www.tabula.ge/ge/story/89019-zhenevis-formatis-momavali რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების დარღვევები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი http://mfa.gov.ge/News/%E1%83%A0%E1%83%A83%91.aspx
72. ჟენევის მოლაპარაკებებზე ძალის გამოუყენებლობის დეკლარაციას მიიღებენ - კავკასიას "ზეპირი მშვიდობისთვის" ამზადებენ, 2018-03-21, ნიუსპოსტი, http://www.newposts.ge/?l=ge& 3%90
73. Press releases related to the Incident Prevention and Response Mechanism (IPRM) https://www.osce.org/home/104212 ბოლოს ნანახია 27 მარტი, 2018 წ https://www.osce.org/home
74. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) , შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, http://smr.gov.ge/Uploads/IPRM_91172d89.pdf
75. ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში 84-ე შეხვედრა გაიმართა https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6143/
76. ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში 85-ე შეხვედრა გაიმართა https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6222/
77. გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში რიგით 53-ე შეხვედრა გაიმართა https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6219/
78. გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში რიგით 54-ე შეხვედრა გაიმართა https://eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/6251/

დანართები

დანართი #1 - სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY (TSU)

ZURAB CHKHOTUA

The EU's Involvement in Armed Conflict Resolution: The Case of Georgia

Conflict Analysis and Management

Master Thesis Developed for the Degree of Master of Conflictology Qualification

Vakhtang Maisaia, Ph.D. Professor of Political Sciences.

Tbilisi, 2018

დანართი #2

ევროკავშირის ჩართულობა საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში

სქემა #1



დანართი #3

კვლევის ძირითადი ნაწილი





დანართი #4


ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM)
მისიის მიმართულებები:
მისიის - პრიორიტეტები
მისიის - მანდატი
მისიის - მოქმედების არეალი
მისიის - შემადგენლობა
მისიის - ფუნქციები
მისიის - მოვალეობები
ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შექმნა
(IPRM)
შეფასებები მისიაზე
შეჯამება


ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები (GID)
საქართველო - რუსეთის ომის შედეგების და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხების მოგვარება
(GID) წელიწადში ტარდება 4 - ჯერ ორი დღის განმავლობაში, ერთი შეხვედრა ოფიციალური ხოლო ორი შეხვედრა არაოფიციალური ფორმატით
თანათავჯდომარეები:
1) ევროკავშირი (EU)
2) ეუთო (OSCE)
3) გაერო (UNOMIG)
მონაწილეობს აშშ საქართველოს პარტნიორი
სულ ჩატარდა მოლაპარაკებების 36 რაუნდი

დანართი #5


ჟენევის პროცესის გამოწვევები
6 - პუნქტიანი სამშვიდობო შეთანხმება
სამოქალაქო საზოგადოების გამოთიშვა პროცესიდან


ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები ერგნეთში და გალში
(IPRM) - ის დაარსება და მისი ფუნქცია მოვალეობები
ინციდენტების პრევენციის შეხვედრები (IPRM) ერგნეთი
ინციდენტების პრევენციის შეხვედრები (IPRM) გალი
დღემდე, მთლიანობაში ერგნეთში 69, ხოლო გალში 38 შეხვედრა გაიმართა